

შპს ARCON

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
ბოლო გვერდი	12

შპს „ARCON“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ერთეულ ლარში

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფულადი სახსრები	56,133	393,236
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,462,479	1,873,828
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები	1,580,468	1,309,153
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	880,603	1,048,498
წინასწარ გადახდილი გადასახადები		33,890
სულ მიმდინარე აქტივები	3,979,683	4,658,605
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,344,869	1,895,313
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,344,869	1,895,313
სულ აქტივები	6,324,552	6,553,918
ვალდებულებები		
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	326,691	10,438
მიღებული ავანსები	22,060	10,920
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	1,395,194	1,968,818
საგადასახადო ვალდებულება	99,172	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,843,117	1,990,176
სულ ვალდებულებები	1,843,117	1,990,176
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	4,481,435	4,563,742
სულ საკუთარი კაპიტალი	4,481,435	4,563,742
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	6,324,552	6,553,918

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „ARCON“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ერთეულ ლარში

	2021
ამონაგები	5,952,943
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(4,214,998)
საერთო მოგება	1,737,945
ადმინისტრაციული ხარჯი	(1,075,349)
სხვა შემოსავალი	56,458
საპროცენტო შემოსავლები	116,133
საპროცენტო ხარჯები	(78,878)
საოპერაციო მოგება	756,309
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	162,569
წმინდა ზარალი/მოგება	918,878
მოგების გადასახადის ხარჯი	(63,817)
წმინდა ზარალი/მოგება	855,061

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

შპს „ARCON“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2019	-	4,563,742	4,563,742
პერიოდის მოგება	-	855,061	855,061
გაცემული დივიდენდი	-	(937,368)	(937,368)
31 დეკემბერი, 2020	-	4,481,435	4,481,435

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

შპს „ARCON“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი
ერთეულ ლარში

	2021
მოგება დაბეგვრამდე	918,878
კორექტირება	
ცვეთა და ამორტიზაცია	340,924
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	411,349
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში	(83,782)
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	167,895
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	69,247
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	316,253
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,140
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	2,151,904
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(790,480)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(790,480)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
სესხის აღება	2,292,697
სესხის გადახდა	(2,866,323)
სესხის გაცემა	(187,533)
დივიდენდის გადახდა	(937,368)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	1,698,527
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(337,103)
საკუროს სხვაობა ფულად სახსრებზე	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	393,236
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	56,133

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ARCON“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 404 391 298) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2010 წლის 30 ნოემბრიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქ., №51-53.

კომპანიის მესაკუთრეები არიან - 40% ზაზა კალანდია, 30% არჩილ სალთხუციშვილი, 30% ვალერიან ზარდანიძე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - ზაზა კალანდია.

შპს „ARCON“-ის საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2021 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2020 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, 2021 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

შპს „ARCON“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი
ერთეულ ლარში

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	49,698	170,000
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	6,353	156,537
სულ ფულადი სახსრები	56,051	326,537

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	1,462,479	1,873,828
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,462,479	1,873,828

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები აქტივები

გადახდილი ავანსები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადახდილი ავანსები	308,289	224,507
დარიცხული მისაღები აქტივები	1,272,179	1,084,646
სულ გადახდილი ავანსები	1,580,468	1,309,153

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მზა პროდუქცია	716,795	915,216
სხვა მარაგი	163,808	133,283
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	880,603	1,048,498

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრ ებელი შენობა	შენობა	მანქანა- დანადგარ ი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტ ო საშუალებები	სულ
ღირებულება							
31 დეკემბერი 2020	536,000	853,401	301,319	522,941	26,501	83,347	2,307,915
შეძენა	-	67,242	259,274	323,419	3,447	397,840	1,051,222
გაყიდვა/გაცემა	-	(259,274)	-	(2,542)	-	-	(261,816)
31 დეკემბერი 2021	536,000	645,775	560,593	843,818	29,948	481,187	3,097,231
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2021	-	-	141,075	246,146	7,884	17,497	412,601
ცვეთა	-	-	77,182	198,173	6,583	57,913	339,851
31 დეკემბერი 2021	-	-	218,257	444,319	14,467	75,410	752,452
ნარჩენი ღირებულება							
31 დეკემბერი 2020	536,000	853,401	160,244	276,795	18,618	65,850	1,895,314
31 დეკემბერი 2021	536,000	645,775	342,337	399,498	15,482	405,776	2,344,869

8. სესხები

შპს „ARCON“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი
ერთეულ ლარში

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი სესხის ძირი თანხა	1,392,453	1,968,951
გრძელვადიანი სესხის პროცენტი		(133)
სულ სასესხო ვალდებულება	1,392,453	1,968,818

9. ამონაგები

ამონაგები	2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5,952,943
ამონაგები	5,952,943

10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2021
მასალის ღირებულება	4,214,998
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	4,214,998

11. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2021
ხელფასის ხარჯი	452,017
ცვეთის ხარჯი	340,924
სხვა ხარჯი	282,409
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,075,349

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2022 წლის 28 სექტემბერს.